



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი ა ლ ი თ ე ბ ი ს მ ე რ ი ა
 GEORGIA
 VANI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 64-642312831
 თარიღი: 08/05/2023

ადრესატი: მირანდა თეთრაძე
 პირადი ნომერი: 01017047251
 მისამართი: თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 59

მოქალაქე მირანდა თეთრაძეს

ქალბატონ მირანდა ,

თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინური და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება.

დაწესებულებაში შიდა აუდიტს ახორციელებს შიდა აუდიტის სუბიექტი, რომელიც შექმნილია დაწესებულების შიგნით და გააჩნია დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი.

შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის სუბიექტი ადგენს შიდა აუდიტორულ ანგარიშს (და არა დასკვნას როგორც წერილში აქვთ მითითებული), რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, შიდან აუდიტის განხორციელების პროცესსა და მიგნებებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

შიდა აუდიტორული ანგარიშის მიზანს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელობას (ჩვენს შემთხვევაში მერს) მიეწოდოს/ეცნობოს დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ობიექტური ინფორმაცია.

აქედან გამომდინარე, რადგან შიდა აუდიტის სამსახური არ არის სარევიზიო ან/და მაკონტროლებელი სამსახური და შესაბამისად, მის მიერ მომზადებული ანგარიშები არის საკონსულტაციო, ის არის შიდა მოხმარების სარეკომენდაციო პროდუქტი, ამიტომ ის არ წარმოადგენს საჯარო ინტერესის შემცვლელ დოკუმენტს.

თუმცა, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ 2019 წლიდან 2023 წ.წ. შიდა აუდიტის

სამსახურის მიერ განხორციელდა 15 აუდიტორული შემოწმება.

2019-2023წ. წ. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტორული შემოწმებები

წელი	დასახელება	აუდიტორული შემოწმება	აუდიტის სახე	აუდიტორული შემოწმების საფუძველი
2019	ა(ა)იპ საპორტო დაწესებულებების ს გაერთიანება	აუდიტორული შემოწმება	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა
	ა(ა)იპ ვანის სარაგბო კლუბი „აიეტი“	აუდიტორული შემოწმება	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა
	ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება	აუდიტორული შემოწმება	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა
	ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრი	აუდიტორული შემოწმება	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა
	ვანის მუნიციპალიტეტის მერია- „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამის კოდი 03 00)	აუდიტორული შემოწმება	შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა
	ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი	აუდიტორული შემოწმება	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა
2022	ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანება	აუდიტორული შემოწმება	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა
	ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანება	აუდიტორული შემოწმება	შესაბამისობის აუდიტი	წლიური გეგმა

გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც ხორციელდება შიდა აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმების შესაბამისად

ალექსანდრე გოგორიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

